

მიწისზედა მეტრო თბილისსა და რუსთავს დააკავშირებს



საქართველოს მთავრობა და თბილისის მერია მიწისზედა მეტროს პროექტს იწყებს. პროექტის მიხედვით, მიწისზედა მეტრო პრველ ეტაპზე მეტროსადგურ „სამგორს“ დიღოს ბაზრობასთან და აეროპორტთან დააკავშირებს.

სამშენებლო სამუშაოები 2019 წლის ბოლოს დაიწყება. მოხდება მეტროსადგურ „სამგორის“ მოდერნიზაცია და მიწისზედა მეტროს ახად ხაზთან დაკავშირება. სამგორი – დიღოს ბაზრობა, სამგორი – აეროპორტის ხაზებზე მეტროს ექვსი შემადგენლობა ორმხრივი მიმართულებით იმოდრავებს. მოცდის სავარაუდო ღრძ 10 წუთი იქნება. 2021 წლიდან 2022 წლის ბოლომდე ექსპერტატაციაში ეტაპობრივად შევა შვიდი ახადი მეტროსადგური და სრულად განახლებური მეტროსადგური „სამგორი“.

მეტროს განვითარების მეორე ეტაპზე იგეგმება თბილისი-რუსთავის დაკავშირება მიწისზედა მეტროს საშუადებით. 2019 წელს დაგეგმიდი ტექნიკურ-ეკონომიკური კვდევისა და საექსპერტო დასკვნის მიღების შემდეგ შეიძლება თბილისი-რუსთავის დამაკავშირებელი ოპტიმადური მარშრუტი. პროექტის პირვედი ფაზის, სამგორი – დიღოს მონაკვეთის განხორციელებისთვის 90 მიდიონი ამერიკური დოლარი გამოიყოფა.

თბილისის მერია ასევე დედაქადრატში ედექტრომობილების მოხმარების წახადისების ინიციატივით გამოდის.

„ედექტრომობილებს არ შეეხება მონადურ-საათობრივი პარკირების საფასური. მუნიციპადურ საპარკინგე ადგილებზე გამოყოფიდი იქნება სპეცადურად მათთვის განკუთვნიდი უფასო სადგომები, რომლებზეც

სხვა ავტომანქანებს დაყენების უფლება არ ექნებათ. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტი განახორციელებს ელექტროდამტენების მონტაჟს. იმ ადამიანებს, რომლებსაც საკუთრებაში აქვთ ელექტრომობილები, შეუძლიათ მიმართონ გამგეობებს ან მერიას და მათ საცხოვრებელ ადგილთან ახლო, სადაც არის მუნიციპალური პარკინგები, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე მოვანყობთ სპეციალურ დამტენებს“, – განაცხადა კახა კარაძემ.

დედაქალაქის მერის განმარტებით, დედაქალაქში 500 000-ზე მეტი ავტომანქანა გადაადგილება, აქედან დაახლოებით 50% არის 20 წელზე მეტი ხნის ავტომობილები, რაც სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ჰაერის დაბინძურების თვალსაზრისით. მისივე თქმით, ყოველწლიურად ავტომობილების იმპორტი 6-7 პროცენტით იზრდება.

„ეს ძალიან ცუდი რიცხვებია და იმ ნაბიჯებით, რომელიც ცენტრალურ ხელისუფლებას და დედაქალაქის მერიას აქვს დაგეგმილი, ვფიქრობ, მნიშვნელოვნად შეეწყობა ხელი ელექტრომობილების შემოსვლას ქართულ ბაზარზე. ამაში იქნება ჩვენი მაქსიმალური მხარდაჭერა და თანადგომა“, – განაცხადა კახა კარაძემ.

თბილისის მერმა ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის მიმართულებით დედაქალაქში დაგეგმილ ღონისძიებებზე, საქართველოს პრემიერ-მინისტრის, მამუკა ბახტაძის ინიციატივის – „მწვანე პოლიტიკის“ სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის პირველი ეტაპის პრეზენტაციაზე ისაუბრა.